შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“

ს/კ 412724850 ; ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ. №19 ; მობ.: 5 99 22 97 33

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ ქ.ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირის N19, ყოფილი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე, შპს „ნითე“-ს, მისსავე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. 03.06.03.319/08.501 და ნაკვ. 03.06.03.457) დაწყებული აქვს ქვის დამამუშავებელი საწარმოს მოწყობა ექსპლუატაცია.

სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება შედის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტიში და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. რადგან საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია უკვე დაწყებულია, ობიექტი შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, დასავლეთ ცენტრალური სამმართველოს მიერ და სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობაზე კომპანიის მიმართ დაწყებული იქნა ადმინისტრაციული საქმის წარმოება.

მიმდინარე წლის 01 სექტემბერს შპს „ნითე“-მ შეიცვალა დასახელება, ამჟამად არის შპს „ქუთაისის ქვის ქარხანა“. კომპანიის სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები დარჩა უცვლელი, რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, კომპანიის მიერ შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

სააგენტოს 21/10/2022 N 21/6267 წერილით გამოგვეგზავნა შენიშვნები ცალკეული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, რომლის შესაბამისადაც მოხდა სკრიინგის ანგარიშის მომზადება.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული წერილით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებულ სკრინინგის განაცხადს.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი და ელ. ვერსია;
shp- ფაილები;
პასუხები N21/6267 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე;
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი;
ამონაწერები სამეწარმეო რეესტრიდან;
ამონაწერები საჯარო რეესტრიდან.

პატივისცემით,
ველიკ კეზევაძე
დირექტორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„03“ 11 2022
№ 6132